



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 500

19 ოქტომბერი
“ --- ” ----- 2021 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქი თბილისი, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №81.02.21.628; №81.02.21.629; №81.02.21.630; №81.02.21.632; №81.02.21.631; №81.02.01.802; №81.02.21.604; №81.02.21.337; №81.02.21.316; №81.02.21.336; №81.02.21.338; №81.02.21.315; №81.02.94.019; №81.02.21.575 (ნაწილი); №81.02.21.564 (ნაწილი); №81.02.21.428; №81.02.01.894; №81.02.21.515; №81.02.41.057(ნაწილი); №81.02.01.812; №81.02.41.011 (ნაწილი)) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 23 სექტემბრის №21.1329.1517 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქი თბილისი, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №81.02.21.628; №81.02.21.629; №81.02.21.630; №81.02.21.632; №81.02.21.631; №81.02.01.802; №81.02.21.604; №81.02.21.337; №81.02.21.316; №81.02.21.336; №81.02.21.338; №81.02.21.315; №81.02.94.019; №81.02.21.575 (ნაწილი); №81.02.21.564 (ნაწილი); №81.02.21.428; №81.02.01.894; №81.02.21.515; №81.02.41.057(ნაწილი); №81.02.01.812; №81.02.41.011 (ნაწილი)) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე ms.gov.ge რეგისტრირებული №01212042255-67 (№01212242175-67; №01212371504-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

A handwritten signature in blue ink, consisting of a stylized 'G' followed by a horizontal line and a small flourish.



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 21.1329.1517
23 / სექტემბერი / 2021 წ.

ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქი თბილისი, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.628; 81.02.21.629; 81.02.21.630; 81.02.21.632; 81.02.21.631; 81.02.01.802; 81.02.21.604; 81.02.21.337; 81.02.21.316; 81.02.21.336; 81.02.21.338; 81.02.21.315; 81.02.94.019; 81.02.21.575 (ნაწილი); 81.02.21.564 (ნაწილი); 81.02.21.428; 81.02.01.894; 81.02.21.515; 81.02.21.357(ნაწილი); 81.02.01.812; 81.02.41.011 (ნაწილი) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 23 ივლისის N01212042255-67 (N01212242175-67; N01212371504-67) განცხადებით მიმართა თეა გადრანმა (პ/ნ 01009007858) და სხვებმა, რომლებმაც მოითხოვეს ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქი თბილისი, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.628; 81.02.21.629; 81.02.21.630; 81.02.21.632; 81.02.21.631; 81.02.01.802; 81.02.21.604; 81.02.21.337; 81.02.21.316; 81.02.21.336; 81.02.21.338; 81.02.21.315; 81.02.94.019; 81.02.21.575 (ნაწილი); 81.02.21.564 (ნაწილი); 81.02.21.428; 81.02.01.894; 81.02.21.515; 81.02.21.357(ნაწილი); 81.02.01.812; 81.02.41.011 (ნაწილი) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში, სამედიცინო ველნეს კურორტ „ბიოლოთან“ (საკადასტრო კოდები: N81.02.21.628; 81.02.21.629; 81.02.21.630; 81.02.21.632; 81.02.21.631; 81.02.01.802; 81.02.21.604; 81.02.21.337; 81.02.21.316; 81.02.21.336; 81.02.21.338; 81.02.21.315; 81.02.94.019; 81.02.21.575 (ნაწილი); 81.02.21.564 (ნაწილი); 81.02.21.428; 81.02.01.894; 81.02.21.515; 81.02.21.357(ნაწილი); 81.02.01.812; 81.02.41.011 (ნაწილი). ჯამში 61 166 კვ.მ. საპროექტო ტერიტორია მოიცავს კერძო საკუთრებაში არსებულ 17 საკადასტრო ერთეულს, ასევე მუნიციპალური და სახელმწიფო



ტერიტორიის ნაწილს - ჯამში 61166 მ² ტერიტორიას. განაშენიანების რეგულირების გეგმის საზღვრებში არ შედის ორი მომიჯნავე საკადასტრო ერთეული - N81.02.21.599 (300 მ²) და N81.02.21.600 (500 მ²), აღნიშნული ნაკვეთები დარჩება განაშენიანების რეგულირების გეგმის საზღვრებს მიღმა და სამშენებლოდ შეუსაბამოდ, თუმცა განაშენიანების რეგულირების გეგმის კონცეფცია შემუშავებულია იმგვარად, რომ სამომავლოდ მათი სურვილის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება და ამ ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარებაც.

განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალს დასავლეთიდან ესაზღვრება კურორტი „ბიოლი“, სამხრეთიდან - არსებული გრუნტის გზა, აღმოსავლეთიდან - კერძო მიწის ნაკვეთები, ხოლო ჩრდილოეთიდან - ძირითადად სახელმწიფო და მუნიციპალური ტერიტორია. განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალს შუაზე ჰყოფს არსებული ხევი - ქ. თბილისის მუნიციპალური საკუთრება, რომელიც მოყოლილია განაშენიანების რეგულირების გეგმის საზღვრებში. განაშენიანების რეგულირების გეგმის სამხრეთ-დასავლეთ საზღვარს მიუყვება არსებული გრუნტის გზა, რომელიც უკავშირდება მთავარ მაგისტრალს - იუნკერთა ქუჩას, გზის მოწყობა ასევე შესაძლებელია ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრის გასწვრივაც - სახელმწიფოს ბალანსზე არსებულ ტერიტორიაზე, ეს გზა შესაძლოა დაუერთდეს კოჯორი-შინდისის მიმდებარე ტერიტორიის განვითარების გეგმით გათვალისწინებულ გზას (არსებულს).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ) და სატყეო ზონა.

„ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქი თბილისი, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.21.628; 81.02.21.629; 81.02.21.630; 81.02.21.632; 81.02.21.631; 81.02.01.802; 81.02.21.604; 81.02.21.337; 81.02.21.316; 81.02.21.336; 81.02.21.338; 81.02.21.315; 81.02.94.019; 81.02.21.575 (ნაწილი); 81.02.21.564 (ნაწილი); 81.02.21.428; 81.02.01.894; 81.02.21.515; 81.02.21.357(ნაწილი); 81.02.01.812; 81.02.41.011(ნაწილი) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის N292 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით საპროექტო ტერიტორია იყოფა 25 მიწის ნაკვეთად, სადაც დაგეგმილია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განთავსება. ტერიტორია იყოფა საშუალოდ 1000მ²-დან 1800მ²-მდე ფართობის მქონე

ნაკვეთებად, ხოლო ხევის ჩრდილო-დასავლეთით ორი დიდი ნაკვეთი რჩება, მათ შორის ერთი - (საკადასტრო კოდი: N81.02.21.515) 7718მ² ნაკვეთია და მასზე ერთი დიდი ვილა განთავსდება დამხმარე შენობა-ნაგებობებით. ხოლო მეორე - 5501მ² (საკადასტრო კოდი: N81.02.01.812) ფართობის მქონე ნაკვეთზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებისა და ფუნქციური ზონის ცვლილების შემთხვევაში, ასევე გათვალისწინებულია მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.02.21.564) ნაწილის, კერძოდ 8292 მ²-ის შესყიდვა და შემოერთება N81.02.01.812 ნაკვეთთან, აღნიშნულ ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი დიდი ვილის დაგეგმარებაა გათვალისწინებული დამხმარე ნაგებობებით.

განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალში შემავალი მუნიციპალიტეტის და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ნაკვეთების განაშენიანების რეგულირების გეგმის მიზნების შესაბამისად განვითარების თაობაზე, დადებითი პოზიციები დააფიქსირა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ (26/08/2021; N06-0121238100-16) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ (15/09/2021 N61-01212583232; 16/09/2021 N61-01212592441).

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია ტერიტორიაზე არსებული გეგმარების შემზღუდავი ზონირებები, კერძოდ: არსებული მიწისზედა ელ. გადამცემი ხაზის შეზღუდვა (4-4მ), არსებული მიწისქვეშა გაზსადენის შეზღუდვა (4-4მ) და შპს „მედგრუპ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებული საკანალიზაციო ქსელის შეზღუდვა (5-5მ). სამშენებლო და არასამშენებლო ტერიტორიების ზონირების გეგმა დამუშავებულია არსებული საინჟინრო კომუნიკაციების შეზღუდვისა და სატყეო ზონის სამშენებლოდ შეზღუდვის გათვალისწინებით, არასამშენებლო არეალში დამკვეთულია მხოლოდ ღობის მშენებლობა.

საპროექტო წინადადებით დაგეგმილია არსებული ფუნქციური ზონის ცვლილებები, კერძოდ: არსებული ხევის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ნაკვეთებზე სასოფლო-სამეურნეო ზონის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1), ხოლო ნაკვეთებში მოყოლილი სატყეო ზონის მცირე ნაწილის ცვლილება სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) (რეალური გამწვანებული არეალის კონტურის მიხედვით). ხევის ჩრდილო-დასავლეთით არსებულ მიწის ნაკვეთებზე სატყეო ზონის ძირითადი ნაწილის ცვლილება მოხდება სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) და სატყეო ზონა შენარჩუნებული იქნება არსებული გამწვანების კონტურში. არსებული ხევის არეალში კი, სადაც ძირითადად სატყეო ზონაა, ფუნქციური ზონის ცვლილება დაგეგმილი არ არის.

საპროექტო ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) - 24312 მ²; სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) - 21485 მ²; სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) - 5497 მ²; სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ) - 900 მ²; სატყეო ზონა - 8820 მ².

საპროექტო ფუნქციური ზონების კოეფიციენტები:

(სზ-1) კ1=0,5; კ2=0,8; კ3=0,4;

(რზ-2) კ1=0,2; კ2-; კ3=0,8;

(ტზ-1) კ1; კ2 ; კ3=0,1;

შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლე ან/და სართულიანობა: 15 მ. 3 მიწისზედა სართული.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუანაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 31 აგვისტოს N01212432365 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 20 სექტემბრის N01212634042 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა დამტკიცდეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების პრიორიტეტია არსებული განაშენიანებული ტერიტორიების გამოყენების რაციონალიზაცია დაეფექტიანობის გაზრდა, მათ შორის ამორტიზებული ან/და დეგრადირებული განაშენიანების განახლება-განვითარება. გაუანაშენიანებელი ტერიტორიების ათვისება დაიშვება, მხოლოდ განაშენიანებული ტერიტორიების ქალაქგანვითარების პოტენციალის ამოწურვის ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობითა და განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პროცედურებით მიღებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით. თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქი თბილისი, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.21.628; 81.02.21.629; 81.02.21.630; 81.02.21.632; 81.02.21.631; 81.02.01.802; 81.02.21.604; 81.02.21.337; 81.02.21.316; 81.02.21.336; 81.02.21.338; 81.02.21.315; 81.02.94.019; 81.02.21.575 (ნაწილი); 81.02.21.564 (ნაწილი); 81.02.21.428; 81.02.01.894; 81.02.21.515; 81.02.21.357(ნაწილი); 81.02.01.812; 81.02.41.011(ნაწილი) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01212042255-67 (N01212242175-67; N01212371504-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქი თბილისი, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.628; 81.02.21.629; 81.02.21.630; 81.02.21.632; 81.02.21.631; 81.02.01.802; 81.02.21.604; 81.02.21.337; 81.02.21.316; 81.02.21.336; 81.02.21.338; 81.02.21.315; 81.02.94.019; 81.02.21.575 (ნაწილი); 81.02.21.564 (ნაწილი); 81.02.21.428; 81.02.01.894; 81.02.21.515; 81.02.21.357 (ნაწილი); 81.02.01.812; 81.02.41.011 (ნაწილი) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.
2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმაღაძეს.
4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01212432365
თარიღი: 31/08/2021
პინი: 2553

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

2021 წლის 25 აგვისტოს N 01212371504-67 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 81.02.01.812, 81.02.21.628, 81.02.21.630, 81.02.21.632, 81.02.21.631, 81.02.01.802, 81.02.21.604 და სხვ.) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სამსახურმა პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2021 წლის 20 აპრილის N 01211101586-67 წერილის პასუხად N 01211217 წერილით. დადებითი პოზიცია განმეორებით დაფიქსირდა განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე.

ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: **01212634042**
თარიღი: **20/09/2021**
პინი: **9095**

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპენტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 25 აგვისტოს №01212371504-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 81.02.21.628, 81.02.21.629, 81.02.21.630, 81.02.21.631, 81.02.21.632, 81.02.01.802, 81.02.21.604, 81.02.21.338, 81.02.21.337, 81.02.21.316, 81.02.21.315, 81.02.21.336, 81.02.21.599, 81.02.21.600, 81.02.94.019, 81.02.21.428, 81.02.01.894, 81.02.21.515, 81.02.01.812, 81.02.41.057 (ნაკვეთის წინა ნომერი 81.02.21.357), 81.02.41.011, 81.02.21.575, 81.02.21.564, ფუნქციური ზონა: სატყეო ზონა და სასოფლო-სამეურნეო ზონა; გამწვანებული ტერიტორიების რუკა: ნაწილობრივ სატყეო ზონა) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **90 ძირი (ს/კ 81.02.21.604 - №390, №392-393; ს/კ 81.02.21.338 - №311; ს/კ 81.02.94.019 - №419; №421-422, №437, №439-440, №448-450, №484, №486, №488-489, №508-511; ს/კ 81.02.01.894 - №502; ს/კ 81.02.41.057 (ნაკვეთის წინა ნომერი 81.02.21.357) - №6, №8, №17, №21-22, №27, №29-33, №39-43, №47-51, №53, №57, №60-67, №69-70, №72, №76-83, №85-93, №98-99, №101, №104, №106-111, №114-115, №117, №119-121; ს/კ 81.02.41.011 - №124)** მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. **გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და თითოეულ საკადასტრო ერთეულზე მოსაჭრელი მწვანე ნარგავის რაოდენობა არ აღემატება 15 ერთეულს, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.**

აქვე, გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ხმობადი ხეებისაგან გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა **81.02.41.057 (ნაკვეთის წინა ნომერი 81.02.21.357) საკადასტრო ერთეულზე** ერთი ძირი ზეხმელი (№95) იფანი, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ამასთანავე, კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა **81.02.94.019 საკადასტრო ერთეულზე** მოიჭრას **2 ძირი ჯანსაღი** (№420-D=8 სმ; №438-D=8 სმ) იფანი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხს, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნებში, საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **41 ძირი** მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვის შესაძლებლობა, დადგენილების 21-ე მუხლის 1¹ პუნქტისა და 21² მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს საექსპერტო დასკვნაში, **საპროექტო**

ტერიტორიაზე აღწერილი 41 ძირი (ს/კ 81.02.41.011: №1-4, №7; ს/კ 81.02.41.057 (ნაკვეთის წინა ნომერი 81.02.21.357): №23-26, №28, №34-38, №44-45, №52, №54-56, №58-59, №68, №71, №73-75, №84, №94, №96-97, №100, №102-103, №105, №113, №116, №118, №122-123) მწვანე ნარგავი, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ 81.02.41.057 (ნაკვეთის წინა ნომერი 81.02.21.357) საკადასტრო ერთეულზე, საექსპერტო დასკვნებში აღწერილი 2 ძირი ჯანსაღი მწვანე ნარგავის (რცხილა: №46-D=27 სმ; იფანი: №112-D=31.2) დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, ხე, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგენილების 21 მუხლის 1¹ პუნქტისა და 21¹ მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს აღნიშნულ ხეზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ კომპანიიდან, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეცტექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

აქვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) დეტალური პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (გადასარგავი: ერთი ძირი რცხილა; საპროექტოდ დასარგავი: 5 ძირი ჰიმალაის კედარი, 8 ძირი ქართული ნეკერჩხალი, 9 ძირი ჩვეულებრივი იფანი, 3 ძირი ირმის რქა; ჯამში - 26 ერთეული) სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიის ტზ-1-ის ნაწილისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (550 მ²).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

აქვე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიის იმ ნაწილის გამწვანების დეტალური პროექტის შეთანხმების საკითხზე, რომლის განვითარება იგეგმება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით, სზ-1-ის და რზ-2-ის პარამეტრებით (სზ-1-ის კ-3 = 0.4 = 9 736 მ²; რზ-2-ის კ-3 = 0.8 = 17 197 მ²), გადაწყვეტილება მიღებული იქნება თითოეული მიწის ნაკვეთის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით სამშენებლოდ განვითარებისას, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურის ფარგლებში, დეტალური პროექტების დროს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა 81.02.21.628, 81.02.21.629, 81.02.21.630, 81.02.21.631, 81.02.21.632, 81.02.01.802, 81.02.21.604, 81.02.21.338, 81.02.21.337, 81.02.21.316, 81.02.21.315, 81.02.21.336, 81.02.21.599, 81.02.21.600, 81.02.94.019, 81.02.21.428, 81.02.01.894, 81.02.21.515, 81.02.01.812, 81.02.41.057 (ნაკვეთის წინა ნომერი 81.02.21.357), 81.02.41.011, 81.02.21.575 და 81.02.21.564 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა.

გამოყენებულია კვალიფიკური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული მტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
სსიპ ქონების მართვის სააგენტო



წერილის ნომერი: 61-01212583232
თარიღი: 15/09/2021
პინი: 6812

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის
ადრესატი: იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

თქვენი 2020 წლის 19 ნოემბრის N16-0120317562 (20.11.20 N12-0120325514-61) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ დაინტერესებაში არსებული ტერიტორია, რომელიც საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია 81.02.41.057 საკადასტრო კოდით, საკუთრებაში გადმოეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს (სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 13.09.21 N1/1-4725 ბრძანება) და სსიპ ქონების მართვის სააგენტო არ არის წინააღმდეგი, აღნიშნული მიწის ნაკვეთი, გამოყენებულ იქნეს გზად სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში N01202454162-67 ელექტრონული განაცხადით წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საპროექტო წინადადების შესაბამისად.

პატივისცემით,

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო



წერილის ნომერი: **61-01212583727**

თარიღი: **15/09/2021**

პინი: **3191**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის

ადრესატი: იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

სსიპ ქონების მართვის სააგენტომ, კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი 2021 წლის 13 აგვისტოს N16-01212253240 (16.08.21 N12-012122883-61) წერილი, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების საკითხს. ვინაიდან, წარმოდგენილი წინადადებით, საპროექტო არეალი მოიცავს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 81.02.41.011; 81.02.21.564 და 81.02.21.575 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებსა (ნაწილი) და ასევე დაურეგისტრირებელ სივრცეს, ითხოვთ სააგენტოს პოზიციის დაფიქსირებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტო არ არის წინააღმდეგი, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 81.02.41.011; 81.02.21.564 და 81.02.21.575 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები (ნაწილობრივ) და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი სივრცე, მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო არეალში, მიენიჭოს შესაბამისი ფუნქციური ზონა და სამომავლოდ განვითარდეს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2021 წლის 23 ივლისის N01212042255-67 და 10 აგვისტოს N01212242175-67 ელექტრონული განაცხადებით წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად.

პატივისცემით,

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
სსიპ ქონების მართვის სააგენტო



წერილის ნომერი: 61-01212592441

თარიღი: 16/09/2021

პინი: 4592

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის

ადრესატი: იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო

მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

